ლაბირინთი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №9 (187) ნოემბერი 2025

ანზორ ხაჭიპერაძე

ლიტერატურა და ფილმი

რომანი ვითარდება 1945 წელს და გვიჩვენებს, როგორ ცდილობს მაფია შეინარჩუნოს პატივი, ძალაუფლება და ოჯახური ღირებულებები თანამედროვე ამერიკაში.

გვ. 2-3

თამარ გზირიშვილი

წერილი

თებერვლის სუსხიანი დილა იდგა, მზის სხივების ამოსვლას მოჰყვა მაცნე:
- ქვეყანას გასჭირვებია -

გვ. 4

მაგდალინა ნიკოლეიშვილი

კუებსაც შეუძლიათ ფრენა

რეჟისორი გვიტოვებს კითხვებს, რომლებსაც ჩვენ თავადვე უნდა ვუპასუხოთ - როგორ შეიძლება ბავშვს, რომელსაც ფეხები არ აქვს, ჯერ კიდევ სჯეროდეს ფრენის?

გვ. 4-5

მარიამ საღინაძე

„ქუჩაში, მტვერში, წაიქცა ბავშვი...“

ერთ ჩვეულ, არაფრით გამორჩეულ დღეს მომიწია მშვენიერ სკვერში ჩამოჯდომა და დროის გაყვანა მანამ, სანამ ქართულის რეპეტიტორთან მივიდოდი.

გვ.6

ნინო მუჩიაშვილი

პოეტი, როგორც მედიუმი
სესარ ვალიეხოს „გაურკვევლობა ორ ვარსკვლავს შორის“



დიდება ბავშვს, რომელიც ვარდება და ტირის და კაცს, რომელიც დავარდა და აღარ ტირის.

გვ.7-8

ლიტერატურა და ფილმი

ლიტერატურა და კინო ერთმანეთის „კარგი მეგობრები“ არიან. რეჟისორები ხშირად იყენებენ მხატვრულ ლიტერატურას სცენარის შექმნის დროს. არსებობს ბევრი წარმატებული ეკრანიზაცია, თუმცა, უფრო ხშირია წარუმატებლობა, რადგან ფილმის გადაღება საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული

დღეს მინდა ერთ-ერთი დიდებული ეკრანიზაციის შესახებ ვისაუბრო, რომელიც ბევრისთვის საყვარელია, მათ შორის, ჩემთვისაც. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ფილმმა წიგნს აჯობა - ესაა მარიო პიუზოს 1969 წელს გამოცემული „ნათლია“, რომელიც მოგვიანებით, 1972 წელს, ეკრანზე გადმოიტანა ფრენსის ფორდ კოპოლამ. ფილმს აქვს სამი ნაწილი, მისი ბოლო, ანუ მესამე ნაწილი, 1990 წელს იხილა მაყურებელმა. კოპოლას ტრილოგია ბევრისათვის საყვარელი ნამუშევარია, რომელიც, დროის გასვლის მიუხედავად, არ კარგავს თავის პოპულარობასა და ხიბლს.

მარიო პიუზოს „ნათლია“ კრიმინალური ჟანრის რომანია, მას გასდევს ეპიკური, ღრმა და მძლავრი ამბავი, რომელიც მოგვითხრობს ისტორიას კორლეონეების მაფიოზური ოჯახის შესახებ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკაში. რომანი ვითარდება 1945 წელს და გვიჩვენებს, როგორ ცდილობს მაფია შეინარჩუნოს პატივი, ძალაუფლება და ოჯახური ღირებულებები თანამედროვე ამერიკაში.

მთავარი ფიგურა დონ ვიტო კორლეონეა - გავლენიანი და პატივსაცემი „ნათლია“, რომელიც აკონტროლებს უზარმაზარ დანაშაულებრივ იმპერიას, ამავდროულად, ოჯახურ ღირებულებებსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. დონ ვიტოს ოჯახი (შვილები - სონი, ფრედო, მაიკლი და კონი) ცხოვრობს ძალაუფლებისთვის მტკიცე წესებით: ოჯახი უპირველესია, ერთგულება - უმნიშვნელოვანესი, ხოლო ძალა უნდა იქნეს გამოყენებული საჭიროებისამებრ.

როდესაც დონ ვიტოს თავს ესხმიან, როდესაც მას არ სურს ნარკობიზნესში ჩარევა, იძულებული ხდება, თავისი ოჯახის გადარჩენისთვის, მძიმე ბრძოლებში ჩაერთოს. აქედან იწყება მაიკლ კორლეონეს ტრანსფორმაცია - იგი თავდაპირველად ოჯახის ამ საქმეში გარევას ერიდება, მაგრამ მოგვიანებით ხდება ნამდვილი „ნათლია“ - მამაზე უფრო მკაცრი და დაუნდობელი ლიდერი.

ძირითადი თემები, რომლებზეც დგას ფილმი, შემდეგია - ოჯახის მნიშვნელობა: კორლეონეების ოჯახის ერთიანობა და ურთიერთდაცვა ყველაფერზე მაღლა დგას; ძალაუფლება და პოლიტიკური მანიპულაციები: მაფიის სამყარო პიუზოსთვის არ არის მხოლოდ ბანდიტური - ის პოლიტიკაზე, სამართალსა და ბიზნესზეა მჭიდროდ გადაჯაჭვული; მამაკაცურობა და პატივი: პერსონაჟების უმრავლესობა მოქმედებს „პატივის“ კოდექსის მიხედვით; ძალადობის გამართლება: ნაწარმოები აჩვენებს, როგორაა ძალადობა „საჭირო ბოროტებად“ აღქმული; ამერიკული ოცნების შებრუნებული მხარე: ემიგრანტები მიისწრაფიან წარმატებისკენ, ამ გზაზე კი ხშირად უკანონობას სჩადიან.

მარიო პიუზოს წერის მანერა არის პირდაპირი, მკაფიო და ძალიან „კინემატოგრაფიული“. დიალოგები განსაკუთრებით ძლიერია - მათი საშუალებით მკითხველი, თითქოს, თავად ხვდება ამ დახურულ სამყაროში. ასევე, შეიმჩნევა სენტიმენტალური ნოტები ოჯახის მიმართ და სიბნელე ძალაუფლების სამყაროს აღწერისას.

პერსონაჟებიდან მინდა რამდენიმე განსაკუთრებით გამოვარჩიო - დონ ვიტო კორლეონე: სიბრძნის, კეთილშობილური ძალაუფლებისა და „ძველი სკოლის“ მაფიის სიმბოლო, რომელსაც მარლონ ბრანდო იდეალურად ასრულებს. ეს მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლია. მსახიობს ამ როლის შესასრულებლად დიდი ძალის-

ხმევა დასჭირდა; მაიკლ კორლეონე: რომანის ყველაზე კომპლექსური გმირი – მისი ტრანსფორმაცია უდანაშაულო ახალგაზრდიდან ცივსისხლიან „ბოსამდე“ არის რომანის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ხაზი. მაიკლს ფილმში ალ პაჩინო განასახიერებს, რომელიც ფილმის სამივე ნაწილში მონაწილეობს; სონი კორლეონე: ფიცხი და იმპულსური უფროსი შვილი; ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ტომ ჰეიგენი: ადვოკატი და ოჯახის მრჩეველი, ავტორი გვიჩვენებს მის რთულ პოზიციას როგორც შინაურის, თუმცა ფორმალურად არაიტალიელი წევრის.

„ნათლია“ აშშ-ში გამოსვლის პირველივე წელს ბესტსელერი გახდა. წიგნი მიიჩნევა ერთ-ერთ პირველ მნიშვნელოვან რომანად, რომელმაც მაფია რომანტიზებულად, მაგრამ რეალისტურად წარმოაჩინა. წიგნის წარმატების შემდეგ, პიუზომ დაწერა კიდევ რამდენიმე ნაწარმოები მაფიის თემატიკაზე. ასევე, საინტერესოა ისიც, რომ ავტორმა რომანი თავიდან ფინანსური კეთილდღეობის მიზნით შექმნა, თუმცა, ამ უკანასკნელმა წარმოუდგენელი წარმატება მოიპოვა და მალევე გადაიქცა კლასიკად. მის პოპულარობას ეკრანიზაციაც მალევე მოჰყვა (1972), რამაც კიდევ უფრო გაამყარა მისი ლეგენდარული სტატუსი.

ფილმს კოპოლამ, თავისი ინტერპრეტაციით, უფრო ღრმა ფსიქოლოგიური და კულტურული შრეები შესძინა. ის „ბონასერას“ მონოლოგით იწყება, რომელიც სთხოვს დახმარებას დონ ვიტოს – ეს სცენა გვიჩვენებს მაფიის სამყაროს „პატივისა და ვალდებულებების“ წესებს.

მთავარი სიუჟეტური ხაზი კი ვითარდება მაშინ, როცა, როგორც უკვე ვახსენე, დონ ვიტოს ნარკობიზნესში ჩართვას სთხოვენ და მის უარს ძალადობრივი კონფლიქტები მოსდევს. თავდასხმის შემდეგ, დროებით ოჯახს მისი ფიცხი შვილი, სონი მართავს, შემდეგ – მაიკლი. თავდაპირველად ოჯახის ბიზნესიდან ჩამოშორებული ახალგაზრდა ებმება მოვლენებში. მაიკლი თავის გეგმებს მიჰყვება – ის კლავს მამის მტრებს და ფილმის ბოლოს თავად ხდება ახალი „ნათლია“.

ძალიან საინტერესოა შემდეგი დეტალები: შუქის გამოყენება (ბნელი ოთახები, ნახევრად განათებული სახეები) აძლიერებს განცდას, რომ ეს პერსონაჟები ცხოვრობენ ერთგვარ ნახევრადჩრდილოვან სამყაროში. ასევე, აღსანიშნავია ტემპი: ფილმი ნელა ვითარდება, ყურადღებით აჩვენებს თითოეულ ემოციურ დეტალს – განსაკუთრებით პერსონაჟების გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. არ შეიძლება გამოვტოვოთ მუსიკა: ნინო როტას ლეგენდარული „საუნდტრეკი“ სიმძაფრესა და მელანქოლიას სძენს ფილმს.

მნიშვნელოვანი სცენები ფილმიდან: დონ ვიტოზე თავდასხმა, როგორც მაფიის წესების დარღვევის სიმბოლო; მაიკლ კორლეონეს მიერ განხორციელებული მკვლელობა რესტორანში – მისი პირველი ნაბიჯი დანაშაულის სამყაროში და ტრანსფორმაციის დასაწყისი; ბრანლის მილიარდების გაფორმება და ველზე გადაღებული სცენა, სადაც ჩანს მაფიის გავლენა შოუბიზნესზე; ბოლო სცენა, კეი ადამსის სახე – როგორ ხვდება, რომ მაიკლიც ახლა ისეთივე „ნათლიაა“, როგორც დონ ვიტო.

არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ფილმი წარმოუდგენლად წარმატებული იყო – კრიტიკოსებმაც და მაყურებელმაც ის შედევრად მიიჩნიეს. ფილმმა მოიგო სამი ოსკარი ნომინაციებში – საუკეთესო ფილმი, საუკეთესო მსახიობი (მარლონ ბრანდო) და საუკეთესო ადაპტირებული სცენარი. თუმცა, მარლონ ბრანდომ ოსკარი პირადად არ მიიღო – მან პროტესტის ნიშნად უარი თქვა ჯილდოზე ამერიკის მიერ ინდიელების მიმართ დამოკიდებულების გამო.

საბოლოოდ, ფილმიც და წიგნიც მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. „ნათლიას“ ეკრანიზაცია იმ ფილმთა კატეგორიაში გადის, რომელიც აუცილებლად სანახავია, იმავეს ვიტყოდი წიგნზეც. მკითხველსა თუ მაყურებელს ნათლია უემოციოდ არასდროს დატოვებს.

ანზორ ხაჭიპერაძე

წერილი

თებერვლის სუსხიანი დილა იდგა, მზის სხივების ამოსვლას მოჰყვა მაცნე:

– ქვეყანას გასჭირვებია –

ხმლები შავიბით და ქალაქისკენ მიმავალ ვიწრო ბილიკებს დავადექით. ქვეყნის დახმარების სურვილი იმაზე ძლიერი იყო, ვიდრე ჩვენი ფიზიკური შესაძლებლობები, მაგრამ დანებების დრო არ იყო:

– მე თქვენ გაჩვენებთ, როგორ იქნევს მახვილს ხევსური! – ისმოდა მთების ექო.

თბილისს რომ მივადექით, თოვდა და ქალაქს ეხურა თალხი. ბურუსიდან გამომკრთალი მზის სხივი ჩვენს მახვილთა პირებზე ელავდა.

* * *

ჩვენს მეგობარ ამერიკელს ვახლავართ თან, რომელსაც ძლიერი კავშირები აქვს ამერიკის პრეზიდენტთან. ვცდილობთ, ქვეყნის გადარჩენის გზებს მივაგნოთ. მაკგრეგორიც იდეებს გვაწვდის და გვაიმედებს:

– მალე ამერიკის მთავრობა იარაღს გამოგზავნის.

ფიქრთა მორევში გამოერკვა ღერენა:

– წერილ მივსწეროთ ამერიკას!

ცოფით გადალესილ სახეებზე გაოცება აგვიცეკვდა. ღერენამ წერა დაიწყო, მერე ხმამაღლა წაგვიკითხა:

„ამერიკის დიდს მთავრობას ხევსურეთის წარმომადგენლობის თხოვნა.

ჩვენი ხევსურეთის ხალხი – შეწუხებულ არს ბალშოვიკებით. გვიკრძალავენ რჯულს. უნდათ „კოლხოზების“ გაკეთება და ბევრის „ნალოგების“ გამორთმევა და მოდიან, ხშირად გვეუბნებიან, მაგრამ ჩვენ თანახმა არა ვართ, მანამ სრუა დავიხოცებით მთელი ხევსურეთი თანახმად არ ვიქნებით. მართალია, იარაღი კი არა გვაქვ, მაგრამ ხმლითა და ხანჯლით უნდა ვიომოთ, მაგრა ამერიკას გთხოვთ დიდის თხოვნით ძრიელის სახელმწიფო ხართ და მოგვეშველენით და დახმარება გაგვიწევეთ, თორემ ცოდონი ვართ. იმედი გვაქვს, რო მოგვეშველებით, თუ გვიშველით თქვენ თუ არა ჩვენი მეშველი აღარა არი. აბა ძმებო, უკანასკნელს დღეში ვართ ჩვენ.

მთელი ხევსურეთის წარმომადგენლები გიგა ლიქოკელი, ღერენა ლიქოკელი, გიორგი ლიქოკელი“.

* * *

– მაგვხელეს! – იძახა ღერენამ.

– რახელ? – განრისხება და გაოცება ერთმანეთში აირია.

– წერილი ბალშოვიკებს უგდავთ ხელთ, – ამოსთქვა ღერენამ.

ბალშოვიკები სოფლებს მოედნენ, წერილის ხელმომწერნი და იდეის ავტორები გამოგვიყვანეს და ცხენებს გადაგვაკრეს. – სიკვდილი მოღალატეებს – გვეძახდნენ მთელი გზა.

ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ სიცოცხლეს გამოგვასალმებდნენ, მაგრამ „ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ, მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს“.

* * *

დედაქალაქის მთავარ მოედანზე გაგვამწკრივეს „მოღალატენი“, სამშობლოს „ღალატისთვის“ ბრალი დაგვდეს და ჩახმახები გადატენეს.

ტყვიების წვიმამ ჩვენი ტალავრები უფრო გააფერადა.

თამარ გზირიშვილი

კუებსაც შეუძლიათ ფრენა

ბაჰმან გობადის ფილმი „კუებსაც შეუძლიათ ფრენა“ გადაღებულია 2005 წელს. ის მოგვითხრობს ისტორიას ახალგაზრდების ჯგუფზე, რომელიც ერაყისა და თურქეთის საზღვართან ცხოვრობს და ელოდება სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასრულებას.

ეს არ არის მორიგი სოციალური დრამა, არამედ ესაა ბავშვების ხმა, რომლებიც დაბადებიდან ცხოვრობენ ომში და არასოდეს უნახავთ მშვიდობა. ფილმი ჩუმად გვეუბნება: შეხედე, ასე გამოიყურება ბავშვობა, როცა ყუმბარები გეხმარება სიზმრებიდან გამოღვიძებაში.

მთავარი პერსონაჟი, პატარა ბიჭი, მეტსახელად „სატელიტი“, ლიდერია და, როგორც ვხვდებით,

➤ 5 გვ.

◄ 4 გვ.

თავისი „საქმიდან“ გამომდინარე, არაერთხელ სიკვდილსაა გადარჩენილი. ის აწყობს ანტენებს, ყიდის სამხედრო ნაღმებს, ლიდერია სხვა ბავშვებისთვის. ბავშვებისთვის, რომლებიც ყოველდღიური ლუკმისთვის დიდ რისკზე მიდიან.

რეჟისორი არ ცდილობს, ბავშვები გმირებად დაგვანახოს. არც მათი შიმშილით სპეკულირებს. ის გვაჩვენებს მათ რეალურ ყოფას, მათ გონიერებას, დაღლილ მზერასა და დამალულ ტკივილს. ამ ბავშვებს აღარ აშინებთ ყუმბარების ხმა, ისინი უბრალოდ ფიქრობენ, რომ ეს არის ცხოვრების ნაწილი, ყოველდღიური თამაში, რომელშიც შეიძლება ფეხი დაკარგო ან მეგობარი აგიფეთქდეს ხელში.

„სატელიტის“ გარდა, ფილმის მნიშვნელოვან პერსონაჟებად გვევლინება სამი ბავშვი. გოგონა, რომელიც თავს არიდებს ყველას და ცდილობს, ისე მოაჩვენოს თავი, რომ თითქოს არ არსებობს. მას რაღაც აკავებს გაქცევისგან და ეს რაღაც არის სწორედ ის ბავშვი, რომელიც ძალადობის ნაყოფია, ის ბავშვი, რომლის თავიდან მოცილება ბევრჯერ სცადა, მაგრამ უშედეგოდ. გოგონას ძმა - უხელო, წინასწარმეტყველი, სასოწარკვეთილი. მათი ტრაგედია არ საჭიროებს გახმოვანებას, მათი ისტორია და წარსულის განვლილი დღეები მათ სახეზეა აღბეჭდილი.

ფილმის სახელი „კუებსაც შეუძლიათ ფრენა“, შესაძლოა, ზედმეტად პრიმიტიულად ჟღერდეს, თუმცა „კუ“ ზუსტად ამ ბავშვების სიმბოლოა. ნელი, შეზღუდული, მიწაზე მყოფი არსება, რომელიც, თუკი გულით მოინდომებს, შეიძლება, დროებით მაინც მოჩვენებითად აფრინდეს, აფრინდეს სულით, თუნდაც სხეული მიწას ვერ სწყდებოდეს.

ფილმი არ არის სასოწარკვეთაზე. პირიქით, სავსეა უხმო იმედით. იმედით, რომელიც არ ყვირის, არ ქადაგებს, მაგრამ არსებობის საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მუსიკის ფაქტობრივი არარსებობა და ეს არარსებობა თავად ხდება მუსიკა. როცა ის ყველგან „გაისმის“, გობადი გვაჩვენებს, რომ ზოგჯერ ყველაზე დიდი გამოხატულება სიჩუმეა.

„კუებსაც შეუძლიათ ფრენა“ არ არის მხოლოდ ფილმი ომის ბავშვებზე, ეს არის ფილმი დაკარგულ ადამიანურობაზე, იმედზე, რომელსაც მიწაში ჩაფლული ნაღმებიც ვერ აფეთქებენ ბოლომდე. რეჟისორი გვიტოვებს კითხვებს, რომლებსაც ჩვენ თავადვე უნდა ვუპასუხოთ - როგორ შეიძლება ბავშვს, რომელსაც ფეხები არ აქვს, ჯერ კიდევ სჯეროდეს ფრენის?

მაგდალინა ნიკოლეიშვილი

„ქუჩაში, მტვერში, წაიქცა ბავშვი...“

შუაკვირაში, დღის ნებისმიერ მონაკვეთში, სკვერსა თუ ქუჩაში ხშირად მოჰკრავთ თვალს მორბენალ ბავშვებს, ზოგს საბავშვო ეტლში მჯდომს ზრდასრულებთან, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, ძიძები არიან და გამოცდილი თვალი ამას ყოველთვის მიხვდება. ნაკლებად შეხვდებით მარტოდ მოსიარულე ძიძას აღსაზრდელთან ერთად, მათი სეირნობა, ძირითადად, რამდენიმეკაციანი ჯგუფის მსვლელობით, დიდი ზარ-ზეიმით მიმდინარეობს. ეს თითქოს არაფრით გამორჩეული და ნაკლებად თვალშისაცემი სიტუაციაა, მაგრამ მოცლილი ადამიანის ფიქრი მეტადაა მიმართული „ჩაკირკიტებისკენ“, სწორედ ასე გადაეწყო ჩემი გონება, როდესაც ერთ ჩვეულ, არაფრით გამორჩეულ დღეს მომიწია მშვენიერ სკვერში ჩამოჯდომა და დროის გაყვანა მანამ, სანამ ქართულის რეპეტიტორთან მივიდოდი. თავიდან თითქმის მარტო ვიყავი, თუ არ ჩავთვლით სკვერში მომუშავე მომსახურე პერსონალს, რომლებიც მწვანე ბალახს კრეჭდნენ და ურნებს ნაგვისგან ათავისუფლებდნენ, ამ თითქმის ორწუთიანი მოდუნების შემდეგ, იმ ადგილისკენ, სადაც მე ვიჯექი, დაიძრა ბატალიონი, რომელშიც თანაბრად იყვნენ პატარები და უფროსები. ჩემი ყურადღება მიიქცია იმან, რომ ისინი ერთმანეთს თითქოს ხმაურში ეჯიბრებოდნენ. ძნელი მისახვედრი არ აღმოჩნდა, რომ ძიძები და ბავშვები სასეირნოდ იყვნენ გამოსულები და უბედნიერესები ჩანდნენ, რადგან ამ დროს ერთმანეთისგან ისვენებდნენ და დრო ჰქონდათ სრული თავისუფლებისთვის. თემები არ ელეოდათ ძიძებს - დღის კვების რაციონიდან დაწყებული, ოჯახის ამბებით დამთავრებული, ყველაფერი განიხილეს, გალაღებული ბავშვებიც თავქუდმოგლეჯილები დარბოდნენ სასრიალოზე, ერთ-ერთმა, დაახლოებით ხუთი წლის ბიჭუნამ, თავის მეგობარს მაღაზიაში გაპარვაც კი შესთავაზა: „წამო, წამო, აი ლარიანი მაქვს, მაინც ვერაფერს გაიგებენ“. ერთ-ერთი ძიძა დიდ საგონებელში იყო ჩავარდნილი, აღმოაჩინა, რომ სიგარეტი აღარ ჰქონდა, ამიტომ გამვლელებს დაუწყო ხვეწნა: „აუ ერთი სიგარეტი თუ გექნებათ, რა და ბარემ სანთებელაც“, „სპასიბა“. ამ ყველაფერთან ერთად, განსაკუთრებული „ლუქითაც“ წარმოჩინდებოდა, რომლის მთავარი ხიბლი თეთრი რეზინის „ფლოსტები“ და სახატავი ფანქრით შემკული „პრიჩოსკა“ იყო. გაოცების ჩასაცხრომად ვის ეცალა, უცებ ყვირის პატარა ბიჭი: „ეკა�ა, ფისი მინდა“, ძიძის რეაქცია არ გაინტერესებთ? პასუხობს: „უიმეე, მიდი ჩქარა აი იმ ხესთან, პირველად ხომ არ ვართ გარეთ?“, თან იცინის: „აი ასე უნდა გამოაცხადოს ხოლმე მაინცდამაინც“. პირადად მე იმ დღეს პირველად ვნახე ასეთი შეამხანაგებული ძიძები ბავშვებთან ერთად, რომლებიც გარშემო ვერავის ამჩნევდნენ, გამონაკლისის გარდა, თუკი რომელიმეს სიგარეტი არ შემოელეოდა და უცნობისთვის თხოვნა არ გახდებოდა აუცილებელი. მათი ძირითადი გასართობი იყო მზესუმზირის კნატუნი, რომლის ჩენჩოებიც ხან ხასხასა ბალახს, ხანაც პატარა გოგოს ეყრებოდა, რომელიც უდარდელად იჯდა საბავშვო ეტლში და უკვე ძილისკენ მიდიოდა. ძალიან ბევრჯერ ითქვა „დე“ ან „ბე“, როგორც მზრუნველობის უმაღლესი გამოხატულება. ალბათ, მაქსიმუმ ხუთი წუთი ვიჯექი მეც მათ შორიახლოს და კინაღამ გადამავიწყდა, სად უნდა წავსულიყავი, მალევე გამოვერკვიე და წამოვდექი, ნანახი და მოსმენილი ერთხანს თავში მიტრიალებდა, მაგრამ რა დროს ეგ იყო, აბიტურიენტს გალაკტიონის ლექსის განხილვა მელოდა, „ქუჩაში, მტვერში, წაიქცა ბავშვი“... ერთი კი გავიფიქრე, ნეტა ახლა ამ ბავშვების მშობლებს სკვერში ცალი თვალით შემოაჭყიტათ-მეთქი, მაგრამ კარგი რა, ნეტა ეს აბიტურიენტები ცოტას არ ვაფრენდეთ და, ეროვნულებზე დარდთან ერთად, კიდევ სხვა ათას სისულელეზე არ ვდარობდეთ...

მარიამ საღინაძე

პოეტი, როგორც მედიუმი

სესარ ვალიეხოს „გაურკვევლობა ორ ვარსკვლავს შორის“

თარგმანი

მცირე სიტყვა:

სესარ ვალიეხო, პერუელი მწერალი, XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოღვაწეა როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ სივრცეში. იგი აქტიურად ერთვებოდა საზოგადოებრივ საქმიანობაში და თავისი შემოქმედებითა თუ კვლევებით, ცდილობდა ლიტერატურის, როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური ღერძის ინტეგრაციას პოეზიის ორბიტაზე. მცდელობას უკვალოდ არ ჩაუვლია და ის დღემდე რჩება ნოვატორ და პარტიზან პოეტად მის თანამედროვეებთან ერთად, რომლებიც იყვნენ: ვინსენტე უიდობრო, პაბლო ნერუდა, ტრისტან ტცარა. ხოლო მოგვიანებით კი, ესპანეთის სამოქალაქო ომის პერიოდში, სადაც ვალიეხო მხარს უჭერდა რესპუბლიკელებს, იგი უახლოვდება ისეთ ესპანელ მწერლებს, როგორებიც იყვნენ - მიგელ დე უნამუნო, ფედერიკო გარსია ლორკა, ხოსე ბერგამინი, რაფაელ ალბერტი და გერარდო დიეგო. აღსანიშნავია ვალიეხოს სტუმრობა საბჭოთა კავშირში, მარქსიზმისადმი ღრმა ინტერესი და შემდგომ ამავე თემაზე გამოცემული ესეების კრებული „რუსეთი 1931 წელს“ და, ასევე, პროლეტარული რომანი „ტანგსტენი“. საკმაოდ ღირებული ნაშრომია ხელოვნების, როგორც ბრძოლის იარაღისა და განწყობილების დასახვისთვის, მისი ესეი „ხელოვნება და რევოლუცია“, რომელიც გამოირჩევა მკვეთრად რადიკალური მარქსისტულ-რევოლუციური შინაარსით. ვფიქრობ, სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი იქნება ამ რევოლუციური ავტორის კვლევა და იმ მედიუმად წარმოსახვა, რომელიც თავის სიმზე იტევს საზოგადოებაში განფენილ ყველა მნიშვნელოვან და მწვავე პრობლემას, განსაკუთრებით კი კლასობრივი დიფერენციაციის საკითხს.

მე მისი ერთ-ერთი ლექსი - „გაურკვევლობა ორ ვარსკვლავს შორის“ - ვთარგმნე, რომელიც საფუძვლად უდევს როი ანდერსონის ფილმის „სიმღერები მეორე სართულიდან“ სცენარს. იმედი მაქვს, სტუდენტები და ხელოვნების

➤ 8 გვ.

◄ 7 გვ.

მიმართ გარკვეული ამბიციების მქონე ახალგაზრდები დაინტერესდებიან ვალიეხოთი და უახლოეს მომავალში მისი სხვა ნაშრომების გაცნობის შესაძლებლობაც გვექნება, რადგან მოცემული თემები, რომლებიც მის ლექსებსა თუ ნაშრომებში გვხვდება, თანადროულია ნებისმიერი ქვეყნის დღისწესრიგისთვის, განსაკუთრებით კი ჩვენი გარემოებებისა და ცხოვრების, არსებობა-გადარჩენის პირობებისთვის.

„გაურკვევლობა ორ ვარსკვლავს შორის“

აქ არიან ადამიანები, რომლებიც უბედურნი არიან.
მათ სხეულიც არ აქვთ და მათი თმებიც თვლადია.
მათი სიბრძნე მკვდარი, მცირე და მოკლეა.
წესი - ცადაზიდული.
არ ეძიებენ მივიწყებულ მორალს.
თითქოს, მოდიან არსაიდან გამოუთქმელი
ჩუმი სევდით, რომ მათ ნებაზე
მიაყურადონ მბჟუტავ შეგრძნებებს.

ტოვებენ სხეულებს, კაწრავენ აკლდამებს,
რომელშიც იშვნენ, საათობით უსწრებენ
სიკვდილს და ეცემიან, გამყინავ
სიტყვათა აღმოხდომით, მიწაზე.

მებრალება ისინი მეტად! მებრალება ისინი
მცირედ! მებრალება მათთვის!
ოთახში, როდესაც მესმის როგორ ისწორებენ
სათვალეს, მებრალებიან ისინი!
მებრალებიან გულში, როდესაც ყიდულობენ
პიჯაკს.
მებრალებიან ჩემი თეთრი სიბინძურით, რომელიც
ერწყმის მათ ნაძირლობას.

დიდებულ იყოს სანჩეს ყური,
დიდებულ იყოს ხალხი, რომელიც გაიფიცა,
დიდებულ იქნეს უცნობი კაცი და მისი ცოლი.
ჩემი მეგობარია კაცი თვალებით, მკლავებითა და
კისრით.

დიდებულ იქნეს ის ერთი ტილებით,
ის ერთიც, რომელსაც აცვია წახდენილი
ფეხსაცმელი წვიმაში,
ის, ვინც ორი სანთლით აცოცხლებს დაობებულ
პურს.

ის, ვისაც თითი მოჰყვა კარებში,
ის, ვისაც არ აქვს დაბადების დღე.
ისიც, რომელმაც დაკარგა საკუთარი ჩრდილი
ცეცხლში.
ცხოველი, რომელიც ჰგავს თუთიყუშს და
ის ერთიც, რომელიც ჰგავს კაცს, მდიდარ ღარიბ
კაცს,
უაღრესად სასოწარკვეთილ კაცს, ღარიბზე ღარიბ
ადამიანს!

დიდებულ იქნეს
ის ერთიც, რომელსაც შია და სწყურია,
თუმცა არ შია ისე, რომ სამყოფია მისი
მწყურვალებისა,
არ სწყურია ისე, რომ საკმაოა მისი
შიმშილისთვის.

დიდება მას, ვინც მუშაობს ყოველდღე,
ყოველთვე, ყოველ საათს.
მას, ვინც ოფლად ღვრის დამცირებასა და
ტკივილს.
ადამიანს, რომელიც დადის კინოში.
მას, ვინც იხდის იმას, რაც არ აქვს.
მას, რომელსაც სძინავს ზურგზე.
მას, ვისაც დიდი ხანია აღარ ახსოვს თავისი
ბავშვობა.
დიდება იმ მელოტ კაცს ქუდის გარეშე,
უბრალოდ კაცს გულ-მკერდის გარეშე.
იმას, ვინც ატარებს საათს და იხილა ღმერთი.
მას, ვინც პატივსაცემია და არ კვდება.

დიდება ბავშვს, რომელიც ვარდება და ტირის
და კაცს, რომელიც დავარდა და აღარ ტირის.

შევიბრალოთ ისინი მეტად! შევიბრალოთ ისინი
ოდნავ!
შევიბრალოთ ისინი მათთვის!

ნინო მუჩიაშვილი

გამომცემლობა „კენტავრი“, აღმაშენებლის გამზ. 40. ტელ: 032 2 999 411 (240); www.tafu.edu.ge